თბილისი

- დავით აღმაშენებლის გამზირი 150
- სადღეღამისო ცხელი ხაზი: 1481
- info@ombudsman.ge
- https://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/

ბათუმი

- დუმბაძის N10
- 0422 27 60 32
- 577 50 52 31

თელავი

- სააკაძის მოედანი 1
- 0350 27 99 27
- 591 88 35 38

ზუგდიდი

- მერაბ კოსტავას N58
- 0415 22 36 11
- 595 52 53 56

ზემო სვანეთი

- მესტია, სეტის მოედანი N19
- 591 50 82 62

ოზურგეთი

- ილია ჭავჭავაძის N14
- 0496 27 30 53
- 599 49 48 59

ახალქალაქი

- ილია ჭავჭავაძის N4
- 0362 22 32 83
- 591 96 88 82

მარნეული

- შოთა რუსთაველის N51
- 0357 22 19 70
- 595 52 53 57

გორი

- სამების ქ. N1
- 0370 27 05 49
- 551 66 14 77

ქუთაისი

- შოთა რუსთაველის N18
- 0431 25 33 50
- 577 55 33 81

www.ombudsman.ge

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეული სამსახური უფასოა და ხორციელდება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით

ცხელი ხაზი

1481

www.ombudsman.ge

info@ombudsman.ge

www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia/

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ბავშვი და შრომის უფლება

www.ombudsman.ge

რა ასაკიდან წარმოიშობა ბავშვის შრომითი ქმედუნარიანობა ?

ბავშვის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ :

- შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს;
- ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას;
- არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს **მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.**

მოქმედი კანონმდებლობით:

- აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად;
- აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

როგორი შეიძლება იყოს არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა?

- 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს;
- 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

რას გულისხმობს ღამით მუშაობის შეზღუდვა?

მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.

ასევე აკრძალულია არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

განსაკუთრებით რისკის ჯგუფს ქმნიან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.

სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა დროულად გამოავლინოს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შემთხვევები.

სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმებისა და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, აღმოფხვრისა და მსხვერპლ ბავშვთა დახმარების მიზნით.

დაუშვებელია განათლების უფლების ხელყოფა და სკოლის მიტოვება; 16 წლამდე არასრულწლოვანი არ შეიძლება დარჩეს სკოლის მიღმა შრომითი საქმიანობის გამო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
ცხელი ხაზი - **1481**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზი - **112**

სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტო
სააგენტოს ცხელი ხაზი - **1505**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სამინისტროს ცხელი ხაზი - **2 200 220**